





ზვიად რატიანი

შენთვის შეიძლება

ზვიად რატიანი  
შენიშვის შეიძლება

გარეკანის დიზაინერი ბესიკ დანელია



საქართველოს ეროვნული  
ბიბლიოთეკა  
სამინისტრო

წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2015  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-512-7

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

## სარჩევი

მოცემულობა.....	9
მიგნება.....	10
ტადეუშ დაბროვსკის.....	11
ბოლო სიყვარული – ქალაქი ზღვით .....	12
ჩრდილი.....	16
უკეთესი მომავალი.....	17
ლოდი .....	18
კიბე, რომელსაც დავაკვდები .....	19
პაუზა .....	23
მოკავშირე .....	24
ძველი და ახალი წარღვნა .....	25
შთაგონება: თვლები, ყურები.....	26
ორმაგი ჯაშუში .....	27
მიმართვები .....	28
ხარანაული .....	31
შენთვის შეიძლება.....	32
დრო და წყალი.....	34
საქმიანი ლაღადისი.....	35
სამი ლექსი.....	37
ვნეწარ და ვსუნთქავ .....	38
რწმენა. იმედი. სიყვარული.....	39
სიმართლე .....	44
დახურული სასაფლაო.....	45
ცუდი ლექსი, კარგი სიზმარი .....	47
წარსული იწყება აქ.....	48
ორმოცის შემდეგ .....	50
პიკი.....	51
სასწაული: ადვილი სიკვდილი.....	54
წესრიგი.....	55
სეზონური საუბრები .....	56
ცუდი დასასრული.....	57



შენთვის შეიქმნა





## მოცემულობა

სულ მინდა შენზე ისე ვწერო,  
თითქოს არსებობ.

და ყოველთვის ისე გამომდის,  
თითქოს თვითონ გამოგიგონე.

## მიზნება

მომეჩვენა, რომ ეს სწორედ ის წამია –  
გაზაფხულის და ზაფხულის ერთმანეთში გავლის წამი;  
და ამ მიგნებით აგზნებული

დავაბიჯებდი ოთახებში,  
კომპიუტერთან მიმსხდარ შვილებს თავზე ვკოცნიდი,  
ისინი მგონი ვერც მამჩნევდნენ. ცოლს თვალს ვარიდებდი

და იმედია, ვერც ის გრძნობდა. ვიტანჯებოდი  
და არ მინდოდა შეემჩნიათ. როგორც იქნა, მომწიფდა ლექსი  
და ვიდრე სანერ მაგიდასთან დავჯდებოდი,  
ისევ გავედი აივანზე: აღარსად იყო  
არც გაზაფხული, არც ზაფხული,  
არც შემოდგომა, არც ზამთარი...

– როგორ, არცერთი?

– არა, არც ზამთარი.

## ტადეუშ დაბროვსკის

მე და ჩემი მეგობარი დღემდე ვწერთ ლექსებს.  
ეს არ არის სასაცილო. არც ჩვენ გვიხარია,  
რომ ასე სულელურად გავიმეტეთ ჩვენი ერთადერთი  
(ან გინდაც არ იყოს ერთადერთი) ცხოვრება. ზოგჯერ

მე ვცდილობ თავის გამართლებას, დავუშვათ, ასე:  
„ვიდრე ადამიანი არ იცის, როდის მოკვდება,  
იარსებებს პოეზიაც“ – ვეუბნები ჩემ მეგობარს,  
ის ფიქრდება. მე მივდივარ მივლინებაში,

ძილი მიტყდება სასტუმროში. წიგნის წამოღება  
ამჯერადაც დამავიწყდა. აღარ მიყვარს ტელევიზორი,  
მაგრამ რადგან სხვა გზა არ მაქვს, ნერვიულად გადავდივარ  
არხიდან არხზე. აი ისიც, ქალი და კაცი

მოლაპლაპე, ზეთოვანი სხეულებით, მოლაპლაპე  
ტყავის ჩექმებით, მბზინავი ტურებით  
და ძუძუსთავებით, და სავარაუდო გენიტალებით  
იმეორებენ ერთმანეთს. „სექსი,

დეკორატიული სექსი; და მაშინ რალა დააშავა  
პოეზიამ?“ – ვეკითხები ჩემ მეგობარს, როცა ვბრუნდები.  
„ვიდრე ადამიანი არ იცის, როგორ მოკვდება,  
დაიხვენება პოეზიაც“ – თავს იმართლებს მეგობარი

და ეს არ არის სასაცილო.

## ბოლო სიყვარული – ქალაქი ზღვით

სინამდვილეში არც ისეთი პატარაა,  
მაგრამ განსაზღვრება „პატარა ქალაქი“  
ჯერ ხომ ისედაც გაცილებით ტყვადია

და ორჯერ უფრო – თუ ვგულისხმობთ ზღვისპირა ქალაქს.

\*

მე ერთხელ ვთქვი და მომეწონა,  
და იმ დღიდან გამუდმებით ვიმეორებ,  
რომ ეს ქალაქი ჩემი ბოლო სიყვარულია  
(რასაც მოსდევს კარგად დამუშავებული მოკლე პაუზა)  
და დავძენ ხოლმე: ქალივით მიყვარს.

მსმენელები, როგორც წესი, მიღიმიან.

ოღონდ ადგილობრივები – ცოტა სხვანაირად.

\*

ეს ერთადერთი ქალაქია საქართველოში,  
სადაც ჩემ თავს ვასეირნებ. ეს ფრაზაც ძველია,  
მაგრამ ნაკლებად ეფექტური, როგორც ვატყობ,  
მსმენელებისთვის;  
სამაგიეროდ, ბევრად უფრო გასაგები. თუნდაც ჩემთვის. ესეც  
საქმეა.

\*

მაშ ასე, ჩემ თავს ვასეირნებ. ხოლო სეირნობა,  
როგორც ჩანს, თავის მოტყუების მეთოდებს შორის  
მართლაც საუკეთესოა (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე  
აუცილებელ,

მაგრამ ლექსში სახსენებლად მაინც უხერხულ  
საქმიანობას). გარკვეული უხერხულობა  
ახლავს ამასაც, სეირნობას. განსაკუთრებით –  
თუკი ჩემ თავს ვასეირნებ. მას უხარია,  
მე კი, რომელსაც კარგად მესმის  
უაზრობაც, უნაყოფობაც

ამ გულუბრყვილო სიხარულის, არაფერს ვიმჩნევ,  
რადგან მახსოვს, თუ რამდენი წელი დაჭირდა  
მის დარწმუნებას, რომ ბათუმი ერთადერთი ქალაქია  
საქართველოში,

სადაც ჯერ კიდევ შეიძლება სეირნობა. ძლივს დაიჯერა  
და ვცდილობ, აღარ გავანზილო. ხშირად ვუმტკიცებ,  
რომ ზღვა არაფერ შუაშია, და არც ქალაქის  
ძველი უბანი – ვინრო ქუჩებით  
და ორ-სამ, სამ-ოთხ სართულიანი  
აივნიანი შენობებით; და რომ მთავარი,  
რამაც ამ ქალაქს მიაჯაჭვა მისი გული, რაღაც სხვა არის...  
შემეძლო მეთქვა – პოეზია, მაგრამ არ ვრისკავ.  
ხომ შეიძლება მიხვდეს, რომ დავცინი?

\*

ეს ერთადერთი ქალაქია საქართველოში,  
სადაც ჩემ თავს ვასეირნებ; ვათამამებ. მას აქვს სურვილი

და უფლებაც, გააყოლოს თვალი გოგონებს –  
მათ ნამზეურ მხრებსა და ფეხებს,

მე კი, უფლება რომც მქონოდა,  
აღბათ თვალის გაყოლებას ვერ გავბედავდი,  
და თუკი მაინც გავხედავდი – ისეთებს არა,  
ვინც ჯერ კიდევ შეიძლება (თუნდაც ლექსში) გოგონებად  
მოიხსენიო.

\*

ზღვა არაფერ შუაშია, და არც ქალაქის  
ძველი უბანი – ვინრო ქუჩებით,  
სადაც ვინყებთ სეირნობას  
და მივდივართ პორტისაკენ. როგორც ფოთოლს ჭიანჭველები,  
საბუქსირე კატარღები ნაპირისკენ მიალოლებენ  
გიგანტურ ტანკერს. პორტის გვერდით პატარა კაფე  
ზღვისკენ გადგმული ხის აივნით – აი ადგილი,  
სადაც ისევ ვმთლიანდებით –  
მე, რომელიც საკუთარ თავს ვასეირნებდი  
და მე, რომელსაც ჩემი თავი მასეირნებდა,  
სწორედ ამ კაფის აივანზე ვერწყმით ერთმანეთს  
და გარკვევით ვერასდროს ვხვდები,  
თუ რომელი რომელს ერწყმის  
და რომელში ვმთლიანდები –

გააჩნია, რას ვსვამ და რამდენს.

\*

ეს ქალაქი ჩემი ბოლო სიყვარულია.

ესეც ცალმხრივი – პირველივით. ზღვისპირა კაფე,  
რომელსაც უკვე ცხრა წელია, ცოტა მეტიც, ერთგულად  
ვსტუმრობ

და მსიამოვნებს, რომ მიმტანებს  
ალარაფრის შეხსენება აღარ ჭირდებათ –  
კარგად იციან, რას დავლევ და რას მივაყოლებ  
(რაც ერთიორად მაამაყებს, თუ კაფეში სტუმრებს მივიყვან),

და მეც არასდროს მავიწყდება

ერთ-ერთ მათგანს დაწვრილებით გამოვკითხობ  
პატიმარი მეუღლის და ავადმყოფი შვილის ამბები,  
ხოლო მეორეს ლიმონათით გავუზავო ჭიქა არაყი,  
რომ, როცა მოვა და გადაკრავს, აივნიდან მომზირალი მეპატრონე  
ვერაფერს მიხვდეს.

\*

ცხრა წელია, ცოტა მეტიც... როდესაც აქ ვარ,  
თითქოს ჩემი ადრინდელი აქ-ყოფნები ერთმანეთს ებმის  
და მეჩვენება, რომ ერთი დღე იწელება  
და ეს ცალკე ცხოვრებაა; და ერთადერთი,  
რასაც ასეთი კლინიკური სიცოცხლიდან გამოვყავარ,  
რაც მახსენებს დროის დინებას,  
ის პატარა და ლამაზი, სასაცილო ბოშა-გოგოა,  
რომელსაც, თითქოს გუშინ იყო, გულუხვად რომ ვასაჩუქრებდი,  
დღეს კი უკვე სამათხოვროდ შვილებს მიგზავნის.

## ჩრდილი

დავიღალე და ჩრდილში წამოვწექი.  
ჩრდილი გასრიალდა.

ჩრდილი იმისაა – უნდა გასრიალდეს.  
მაგრამ უფრო ნაზად და ფრთხილად:

კანი არ უნდა აგაფხრინოს და გაიყოლოს.  
არც ფრჩხილები. არც წამწამები.

ჩრდილი იმისაა – უნდა გასრიალდეს.  
მაგრამ უფრო უხმოდ და სწრაფად:

ვერ უნდა შეძლო მის კიდეზე ხელის ნავლება,  
უკან მოთრევა, ნადავლის წართმევა.

დავისვენე და გზა განვაგრძე  
(ბოლო სტრიქონი ჩრდილში ჩარჩა).



## უკეთესი მომავალი

ესეც თქვენი უკეთესი მომავალი.

ზუსტად ისეთი, როგორიც გვთხოვეთ.

მცირედი დაგვიანებისთვის ბოდიშს გიხდით, მაგრამ გაგვიგეთ:  
მოთხოვნილება მაღალია, ყველა გვაჩქარებს.

ეს მოხმარების წესებია, გადაიკითხეთ.

საგარანტიო ფურცლის ასლი თქვენთან რჩება.

აქ ხელს მოაწერთ.

თითქოს მართლაც ისეთი ჩანს, როგორიც ვთხოვეთ,

მაგრამ მაინც ეჭვიანად ვათვალისწინებთ.

შენ ქალი ხარ – მოხმარების ბუნდოვანი წესები გაფრთხობს,

მე – საგარანტიო ვადების სიმცირე.

შენ ქალი ხარ – ფანჯრებს ალებ

და მომავლის თვალისმომჭრელ შუქში ლივლივებ,

მე კი ჯერაც კართან ვდგავარ

და კურიერს დაბნეული ვართმევ ფურცელს,

ერთხანს უაზროდ ვაკვირდები, ვითომ ვკითხულობ,

და ხელს ვაწერ მითითებულ სვეტში:

*მაპატიეთ.*

ლოდი

ხშირად მეღვიძება უფსკრულში,  
სადაც სიზმარში ჩავიჩეხე.

და ვიდრე სინამდვილე აენტება,  
ლოდი, რომელსაც დავემსხვერი,  
მახორცდება ზურგზე სამუდამოდ.